ეროვნული ბიბლიოთეკა


# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 26. ხუთშაბათი, 6 ივლისი, 1906 წ. გაზეთის № 74


### სველი ბურდო საპატიმროებისა

(მოთხრობა რიშპენისა)

პირველი ათი წელიწადი თავის ტყვეობისა მან ცუდად გაატარა, უსაქმოდ... არა გაუკეთებია რა გარდა იმისა, რომ სინჯავდა იქაურობას, ეწყობოდა და ეჩვეოდა ტუსაღურ ცხოვრებას.

მაგრამ ოცი წელიწადი კიდევ უნდა გაეტარებინა იმ საპატიმროში.

ერთ მშვენიერ დილას შერცხვა, შეაწუხა და ითაკილა ასე უქმად ყოფნა და იფიქრა გამოეგონებინა რაიმე საქმე, რასაკვირველია, თავისუფლებას მოკლებულ ადამიანის შესაფერი, რადგან იგი იყო პატიმარი, მაგრამ მაინც ადამიანი.

მთელი წელიწადი მოანდომა ამის ფიქრს, იმ გეგმისა და იდეის აწონ-დაწონვას, რომელიც თავში უტრიალებდა. გულმოდგინედ ფიქრობდა, რომელი აერჩია როგორც უკანასკნელი მიზანი თავის სიცოცხლისა.

— ობობას დავუწყო მოვლა და აღზრდა? ეგ დახავსებული, უკვე ნაცადი და ყველასაგან ცნობილი ამბავია.

— ამოვიღო რამე და გადავაკეთო სხვის თხზულებიდან? ფუ! ეგ ხომ სხვის საკუთრების მითვისება იქნება, საზიზღარი და მდაბალი ქურდობა!

— ვთვალო თითებზე კედლების უსწორ-მასწორობა და იმათი ხორკლიანი ალაგები? სასაცილო და უსარგებლო თავის გართობა იქნება, რომელსაც არავითარი თვალსაჩინო და საგრძნობელი შედეგი არ მოჰყვება!

— არა, უფრო ახალი რამე უნდა გამოვიგონო; გამოსადეგი. მნიშვნელოვანი, საგრძნობელი; ისეთი რამ, რომელშიაც ჯავრის ამოყრაც იხატებოდეს ისეთი საქმე, რომელსაც, გართობასთან ერთად, ჩემის არსებობის გაუმჯობესობაც შეეძლოს, რომელსაც იმავე დროს პროტესტის ძალაც ჰქონდეს!.

ერთი წელიწადიც ამის ფიქრსა და ძიებას მოანდომა და ბოლოს მისი დაჟინებული სურვილი გამარჯვებით დაჯილდოვდა.

იგი იმყოფებოდა ნამდვილ საკანში, სადაც მზე დღის განმავლობაში მხოლოდ ნახევარ საათით ანათებდა, სადაც სინათლე წვრილ ძაფის სიმსხოში შედიოდა...

უბრალო საწოლი, რომელზედაც განისვენებდა მოქანცული და ჯანგატეხილი პატიმარი, დანესტიანებულ ბურდოსაგან შესდგებოდა.

— ოჰ, რა ჩინებული აზრია!—შესძახა იმან ხალისიანად: — ამით ჯავრს მაინც ვიყრი, გავაბრაზებ მაინცა საპატიმროს მცველთ... შეცდომაში შევიყვან მართლ-მსაჯულებას, მე უნდა გავაშრო ჩემი სველი ლოგინი, ეს ნესტიანი ბურდო!...

ჯერ დათვალა, რამდენ ღეროსაგან შესდგებოდა მთელი კონა... აღმოჩნდა, რომ კონაში ათას სამას შვიდი ღერო იყო.

რა პაწაწა კონაა, რა საცოდავი!...

მერე სცადა რამდენი ხანი მოუნდებოდა თითო ღეროს გაშრობას... გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ამისთვის საჭირო იყო საათის სამი მეოთხედი დრო.

მაშასადამე, ყველა ათას სამას შვიდ ღეროს გასაშრობად მოუნდებოდა ცხრაას ოთხმოცი საათი და თხუთმეტი წუთი.. მაგრამ რადგან მზე დღეში მარტო ნახევარ საათს უნათებდა, სულ საჭირო იქნებოდა ათას ცხრაას სამოცდა ერთი დღე...

ჩაავდო რა საშვალო რიცხვით, რომ სამ დღეში ერთხელ გამოდის ხოლმე მზიანი დღე, ანგარიშმა მიიყვანა იქნამდი, რომ თავის საწოლ ბურდოს გაშრობა შესაძლებელი იქნება თექვსმეტის წლის, ერთის თვის, ერთის კვირისა და ექვსის დღის განმავლობაში.

კიდევ ნახევარი წელიწადი ამ საქმის სისრულეში მოყვანის ფიქრს მოანდომა...

ბოლოს საქმესაც შეუდგა...

ყოველთვის, როცა კი მზე ანათებდა, პატიმარი მიუშვერდა იმის სხივებს წვრილ ზოლს ბურდოს თითო ღეროს და სარგებლობდა სითბოთი, რომ გაეშრო იგი. დანარჩენ ხნის განმავლობაში ფრთხილად ინახავდა ტანისამოსის ქვეშ უკვე გამშრალ ბურდოს ღეროს...

— გავიდა ათი წელიწადი. პატიმარი ეხლა თავის ნესტიან ქვეშსაგების მხოლოდ ერთ მესამედ ნაწილზე წვებოდა, მაგრამ სამაგიეროდ იმისი გულ-მკერდი სული მაღლა-მაღლა ადიოდა, რადგან ზედ ეწყო ცოტცოტაობით გამშრალი ბურდოს ორი მესამედი ნაწილი..

— თხუთმეტმა წელმა განვლო...

ოჰ, სიხარულო, ოჰ, ნეტარებავ? ოც და თექვსმეტი ღერო-ღა დარჩა გასაშრობი! ოთხას რვა დღეც და პატიმარს შეეძლება იამაყოს თავის ნამოქმედარით. გაიცინებს მაშინ ურჩი მეამბოხის გულიანის სიცილით, გახდება მძლეთა მძლე და შესძახებს საზოგადოებას შურის ძიებისა და ჯიბრით სავსე ხმით:

— აჰა, გიხაროდენ! ხომ გამომალამეთ საპატიმროში! ხომ სველ ბურდოზე დამაგორეთ! ძალიან კარგი! ეხლა დამიდგეთ თვალები სიბრაზით! აბა მნახეთ, რა მშრალი ბურდოზედა ვწევარ!“

მაგრამ,—ოჰ, უბედურება!—ულმობელი ბედის წერა დარაჯად ადგა თურმე თავის მსხვერპლს და...

ერთხელ, ღამე, როცა საბრალო თავის მომავალ ბედნიერებაზე ოცნებობდა, ალტაცებით მთვრალი, გაბრუებული, უცაბედად რაღაც სულელურის გაუფრთხილებლობით უხერხულად შეინძრა, თასი გადაუყირავდა და შიგ მდგომი წყალი ზედ გულზე გადაესხა. გულმკერდში ჩახუტებულ- ჩათბუნებული, ძლივს გამშრალი ბურდო სულ ერთიან დაუსველდა.

— რაღა ვქნა ეხლა? ხელმეორედ შევუდგე სიზიფის შრომას(*)? კიდევ თხუთმეტი წელიწადი ვითმინო, რომ ხელ - ახლა გავაშრო ბურდო?! მერე მოთმინება? გულის დადება? მოწყენა? თქვენ, ბედნიერნო, რომელთაც ოცდახუთის ნაბიჯის გადადგმაც კი დაგეზარებათ, მაშინაც კი, როცა ეს თქვენთვის საჭიროა,—გაჰბედავდით, პირველი ქვა მაინც აგესროლათ იქით? „იმასაო მეტყვით,—წელიწად-ნახევარი-ღა რჩებოდა საპატიმროში ყოფნა?“ მაგრამ შეურაცყოფილ სიამაყეს კი არაფრად აგდებთ, გაცრუებულ იმედებს, ჩაფუშულს გეგმას? როგორც კაცი თხუთმეტი წელიწადი ეწვალოს, რომ მშრალ ბურდოზე მოისვენოს და ეს კაცი ეხლა დასთანხმდეს საპატიმროდან გასვლას ისე, რომ თმაში სველი ბურდოს ნაწეწები გამოჰყვეს?!

*) უნაყოფო მუშაობა, რომელიც ახალსა და ახალს შრომას თხოულობს და მიზანს კი ვერ აღწევს. კორინთელთა მეფეს სიზიფს მისჯილი ჰქონდა გორაზე შეგორება ქვისა, რომელიც მწვერვალს ვერც კი მიაწევდა, რომ უკანვე ბრუნდებოდა ხოლმე.



**ავტონომიური ფინლიანდია.**—ფინლიანდიის უმთავრესი ქალაქი ჰელსინგფორსი, დაარსდა 1550 წ. ხოლო 1819 წ. გამოცხადდა ფინლიანდიის უმთავრეს ქალაქად. მდებარეობს ფინის ყურეზე; წყლიდან დაცულია სვეაბორგის სიმაგრეებით.

არასოდეს!.. შეუძლებელია!..

რვა დღე და ღამე ამ მწუხარებაში იყო. ებრძოდა სასოწარკვეთილებას, უიმედობას; სცდილობდა წამოდგომოდა თავზე ლოდივით დაწოლილი უბედურების სიმძიმეს!..

ბოლოს უარჰყო ეს ფიქრი და თავი დამარცხებულად ჩასთვალა!.. ვეღარ გაიმარჯვა ბრძოლაში!..

საღამოზე ღონე მიხდილი და იმედ გაცრუებული ძირს დაეცა მუხლმოდრეკილი. ღმერთო, შემინდევ სულის სიმდაბლე!—შესძახა მან ქვითინით:– 30 წელიწადი ვიტანჯე, ვგრძნობდი, როგორ დნებოდა ჩემი სხეული, როგორ მიდუნდებოდა სისხლი ძარღვებში! როგორ მცვიოდა თმა და კბილები! ვითმენდი შიმშილს, სიცივეს მარტოობაში!.. მაგრამ მქონდა სურვილი, რომელიც მამაგრებდა, მქონდა მიზანი, რომელიც მაცოცხლებდა!.. აწ კი გაჰქრა ოცნება, შეუძლებელია მისი განხორციელება! ახლა კი მოისპო ჩემი მიზანი სამარადისოდ, ახლა კი დავრჩი გაწბილებული, სახელგატეხილი, შერცხვენილი!.. შემინდე, რომ ვსტოვებ ჩემს ბინას, თავს ვარიდებ ბრძოლას და გავრბივარ, როგორც მუხანათი, მოღალატე, როგორც მშიშარა! მეტი არ ძალმიძს!

— მაგრამ არა!—შეჰყვირა მან:—არა და არა! ათასჯერ არა! არ ვათქმევინებ იმათ, რომ ამაო იყო ჩემი სიცოცხლე!.. არა! მე არა ვარ დამარცხებული!.. არა ვარ მშიშარა! არა, არ მივატოვებ იქაურობას, მაგრამ ერთ წამსაც აღარ მივდებ თავს ამ სველ ბურდოზე!.. არა, არ მინდა იმათ გაიმარჯვონ!..

პატიმარი გარდაიცვალა იმ ღამეს, დამარცხებული, როგორც ბრუტი, დიდებული, ვითარცა კატონი!

იგი მოკვდა გმირულად. გაგიჟებულმა სულ ერთიან შესჭამა თავის საწოლის სველი ბურდო!..

თეოფ. კანდელაკი.

## მამაჟუხულის მელოდიები

### მ. გორკისა

ჩემის ოთახის ფანჯრის უკან, ბაღში, გატიტვლებულ ეკლის ხეების ტოტებზე: დახტიან ბეღურები და გაცხარებით ბაასობენ, ხოლო მეზობელ სახლის სახურავზე-კი პატივცემული ჭილყვავი წამოსკუპებულა, ყურს უგდებს ამ სხვადასხვა ცელქ ფრინველთა საუბარს და დარბაისლურად აქანებს თავს. მზის სხივისაგან გამთბარ ჰაერს ჩემს ოთახში მოაქვს ყოველი უმნიშვნელო ჩამიჩ მი; მესმის ჩქარი და დაბალი შხუილი პატარა რუსი, მესმის ხის ტოტთა წყნარი რხევა-შრიალი, მესმის და კარგადაც ვიცი, რაზე ღუღუნებენ მტრები ჩემის ფანჯრის თავზე,—და ჰაერთან ერთად ჩემს სულსა და გულს ეწვეთება გაზაფხულის მუსიკის ტკბილი ჰარმონია.

— ჩიკ-ჩირიკ!—გაიძახის ბებერი ბეღურა და მიჰმართავს ამხანაგებს:—აი, ისევ მოვესწარით გაზაფხულს. ხომ მართალია? ჩიკ-ჩირიკ!

— ფა-აქტ, ფა-აქტ!—უპასუხებს ჭილყვავი, რომელსაც თავი განზე კეკლუცად მოუღრხევია.

კარგად ვიცნობ ამ დარბაისელს ფრინველს: მან ყოველთვის მოკლე და მკაფიო პასუხი იცის, და მისი პასუხი მუდამ თანხმობაა, იმის გარდა, რომ ბუნებას სულელ არსებად შეუქმნია, მშიშარაც არის, როგორც საზოგადოდ ჭილყვავთა უმეტესობა. საზოგადოებაში საუცხოვო მდგომარეობა უჭირავს და ჩვეულებად აქვს, რომ ყოველ წელიწადს ბებერ მტრედებისთვის საქველმოქმედო რამ გამართოს, ვიცნობ ბეღურასაც: თუმცა ერთის შეხედვით ჰკუათხელი და ლიბერალიც გეჩვენებოდათ. მაგრამ ნამდვილად ეს ფრინველი ჭკუის მხრივ კარგადაა თავისთვის. როცა ბეღურა ჭილყვავის მახლობლად დახტის, გარეგნულად თავს ისე აჩვენებს თითქო მართლა მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობაო, მაგ-



**ავტონომიური ფინლიანდია**—სენატის მოედანზე, სენატის პირდაპირ 1832 წ. ფინელებმა ააშენეს თავიანთვის უნივერსიტეტი, რომელიც დაუჯდათ 432,000 მარკამდე ანუ 172,800 მან. უნივერსიტეტი ყოველის მხრივ საუცხოვოდ არის მოწყობილი.

რამ გულში კი კარგადა ჰგრძნობს, თუ ფასი აქვს ჭილყვავს და არასოდეს უარს არ გეტყვით,—თუ კი შეაგულიანებთ,—



**ავტონომიური ფინლიანდია.**—ვიბორგის ციხე აშენებულია 1293 წ. კნუტსონის მიერ ჯვაროსნობის ომის დროს. 1710 წლამდე ხშირად ჰქონდათ ბრძოლა რუსებს და შვედელებს, რომელნიც იცავდნენ აღმოსავლეთ ფინლიანდიას ხშირად დამარცხებულა აქ რუსეთის ჯარი. მაგრამ 1710 წ. პეტრე დიდმა მიაყენა აუარებელი ჯარი და დაიპყრო ეს სიმაგრე, რომელიც შეადგენდა ფინლიანდიის კარის გასაღებს. აკი ამის შემდეგ რუსეთის გაუმაძღარმა მთავრობამ ნელ-ნელა დაიპყრო ფინლიანდია.

რომ ამ ბატონ სულელ ფრინველზე ორი სამი ყბად ასაღები ისტორია გიამბოთ.

ფანჯრის თავზე ჩამომჯდარი ახალგაზდა ქოჩორა მტრედი კი არწმუნებს წყნარ დედალ მტრედუნიას: „მე მოვკვდები, მოვკვდები ჯავრისაგან, თუ შენ არ გაიზიარებ ჩემს შენდამი სიყვარულსაო“.

— ააა, გაიგეთ, ქალბატონო, ბეიორები მოფრინდენ! იუწყება ბეღურა.

— ფა-აქტ!—აკანტურებს კეკლუცად ქილყვავი სულელ თავს.

— მოფრინდენ და ხმაურობენ, ერთი აურზაური და ალიაქოთი აქვთ... მეტის-მეტად მოუსვენარი ფრინველები არიან. ბეიორებს წყალ-წყალ ჩიტებიც მოჰყვენ... როგორც ყოველთვის! ჰე-ჰე—ჰე! გუშინ, იცით, ერთს მათგანს ხუმრობით ვუთხარი: „რა ამბავია, გვრიტიკო, რაზე გადმოფრენილხართ-მეთქი“? მიპასუხა კადნიერად, უზრდელად... მაგ ფრინველთა შორის სრულებით არ არსებობს პატივისცემა ჩინისა, წოდებისა და მოსაუბრის საზოგადოებრივ მდგომარეობისადმი. ისე თამამად მელაპარაკებოდა, თითქო, მის წინ ვინმე უბრალო მომაკვდავი ფრინველი იყო და არა კარის ბეღურა... ე. ი. ნადვორნი სოვეტნიკი...

მაგრამ აქ ბუხრის მილის კიდეზე, სახლის სახურავზე, მოულოდნელად გამოჩნდა ახალგაზდა ყორანი და დაბალის ხმით ჩაარაპორტა:

ყურადღებით ვისმენდი რა, მოვალეობისამებრ სამსახურისა, საუბარს დედამიწის ქვეშ, წყალსა შინა და ჰაერსა ზედა მცხოვრებ არსებათა, და დაკვირვებით ვადევნებდი რა თვალყურსა მათს ყოფა-ქცევასა, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ზემოხსენებულნი ბეიორანი ხმა-მაღლა ყიყყივობენ და ქიკქიკებენ შესახებ ყველაფრისა და, ასე გასინჯეთ, გაჰბედეს და გამოსთქვეს თავიანთი იმედი, ვითომ ბუნება ჩქარა განახლდებაო.



**ავტონომიური ფინლიანდია.**—მონრეპო, ვიბორგიდან ორი ვერსის სიშორეზე, წყლის პირად მდებარეობს. ბარონ ნიკოლაის თაოსნობით, გაშენებულია დიდი პარკი (ტყე) და ბაღი. შესანიშნავი რამ ა ის. ბაღში ძეგლებია, ზოგიერთი მათგანი მოწმობს ნაპოლეონის ომს. აუარებელი ხალხი დადის სანახავად და სასეირნოდ. შესვლა ფასით არის, მაგრამ მთელი შემოსავალი ხმარდება სკოლებს. მთელ ბაღს ისე დაივლით, რომ არ შეგხვდებათ არც დარაჯი და არც მებაღე, მაგრამ ერთი თვე რომ იაროთ, ვერ ნახავთ ყმაწვილსაც კი, რომ ან ხიდან მოსწყვიტოს თუნდა ფოთოლი, ან დედამიწიდან აიღოს ჩამოვარდნილი ქლიავი.

— ჩიკ-ჩირიკ!—გაიკვირვა ბეღურამ და დამცინებელ ყორანს რამდენჯერმე მოუსვენრად გადაჰხედა.

ჭილყვავი კი კეთილსაიმედოდ აქნევდა თავს.

— გაზაფხული იყო კიდეც, და იყო არა ერთხელ, —სთქვა ბელურამ,—ხოლო, რაც შეეხება მთელის ბუნების განახლებას, ეს... რასაკვირველია, ძლიერ კარგი იქნება... თუ კა, რა თქმა უნდა, ბუნების ასეთი განახლება ნება-დართულ იქნება იმ ძალთაგან, ვისგანაც ეს ჯერ არსად.

— ფა-აქტ!—სთქვა ჭილყვავმა და მოსაუბრეს კეთილის გამომეტყველებით აღსავსე თვალებით გადაჰხედა.

— ზემოხსენებულს უნდა დავუმატო, —განაგრძო ყორანმა: —რომ იმ ბჟიორებმა გაჰბედეს და უკმაყოფილება განაცხადეს იმის გამო, ვითომ ის ღელე-რუები, რომლიდანაც ისინი წყურვილს იკლავენ, ამღრეული იყოს, და ასე გასინჯეთ, ზოგიერთი მათგანი ისე გაკადნიერდა, რომ თავხედურად ოცნებობს რაღაც თავისუფლებაზე...

— ოჰო, იმათ ყოველთვის აგრე იციან! —წამოიძახა ბებერმა ბელურამ: — ეგ ახალგაზდურ გატაცებით მოსდით და აქ საშიში არაფერია. მეც ვიყავ ახალგაზდა და ვოცნებობდი იმაზე... თავისუფლებაზე... მაგრამ, რასაკვირველია, წყნარად, დინჯად, ჩემთვის ჩუმად ვოცნებობდი... შემდეგ-კი, როცა ხანში შევედი, სადღაც წარვიდა, განჰქრა ეს ტკბილი ოცნება... და დამებადა რაღაც სულ სხვანაირი, „ოცნება“, უფრო რეალური... ჰე-ჰე-ჰე... და, იცით, ეს მეორე ოცნება უფრო სასიამოვნო გამოდგა, უფრო საჭირო ბელურისთვის... ჰე-ჰე-ჰე...

— ეჰმ! —მოისმა დამაფიქრებელი ამოოხვრა.

ცაცხვის ტოტებზე გამოჩნდა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, გულწითელა, რომელმაც მოწყალებით დაუკრა თავი ფრინველთ და შეეკითხა:

— ეეე, შენიშნეთ თუ არა, ბატონებო, რომ ჰაერში რაღაც სხვანაირი სუნი სდგას, ჰა?

— გაზაფხულის ჰაერია, თქვენო—ლებავ!—უთხრა ბელურამ. ჭილყვავმა კი მხოლოდ თავი მოჰგრიხა განზე და ნაზის ხმით, ბატკნის ბღავილის მსგავსად, რაღაც ჩააყვავყვავა.

— მაშა!.. გუშინა საუზმის დროს ლაპარაკობდა ერთი შთამომავლობითი საპატიო ქოტი... ჰაერშიო,—სთქვა, —რაღაც სხვანაირი სუნი სდგასო... მე კი მივუგე: ყური დავუგდოთ და, თუ შევნიშნავთ, დავსუნოთ, გავარჩიოთ. საბუთიანად მითქვამს, არა?

— სწორედ აგრეა, თქვენო—ლებავ!

— სრულიად საბუთიანად გითქვამთ,—თავაზიანად დაეთანხმა ბებერი ბელურა.—ყოველთვის, თქვენო—ლებავ, უნდა დავაცადოთ, დარბაისელი ფრინველი ყოველთვის იცდის.

ბაღში ზეციდან დაეშვა ტოროლა და ტოტიდან ტოტზე მზრუნველობით დაიწყო ხტუნვა. შემდეგ დაბალის ხმით წაიჩურჩულა:

— ცისკარი ნაზის ღიმილით ნაზად აქრობს ვარსკვლავებს ცაზედა... ღამე ჰკრთება, ღამე ჰთრთის და, ვითა ყინული მზეზედა, აქრობს ღამის წყვდიადის მძიმე სახურავს... რა მსუბუქად და ტკბილად სუნთქავს გული, აღსავსე სინათლისა და თავისუფლების მოლოდინის იმედით...

— ეს რა ფრინველია?—იკითხა დარბაისელმა გულწითელამ და მელოტ თავზე ხელი გადაისვა.

— ტოროლაა, თქვენო—ლებავ!—მკვახედ უპასუხა ყორანმა და ჩიბუხი გააბოლა.

— პოეტია, თქვენო—ლებავ! —შებრალების კილოთი დაუმატა ბელურამ.

გულწითელამ ალმაცერად გადაჰხედა პოეტს და დაახრინწა:

— ჰმმ... რანაირი რუხია... არამზადა... მაგან რაღაცა, მგონი, მზესა და თავისუფლებაზე დაიბჟუტურა.. არა?

— სწორედ აგრეა, თქვენო—ლებავ!—კვერი დაუკრა ყორანმა:—ეგ მეტად მოუსვენარი ფრინველია.. აღელვებს ახალგაზდა ბღარტებს რაღაცა უსაფუძვლო იმედებითა და გულს უცრუებს ახლანდელ წყობილებაზე, აშკარად სცდილობს, ძირი გამოუთხაროს არსებულს status quo-ს თქვენო—ლებავ!

— დასაძრახისია, გასაკიცხავი და... სისულელეც.

— სრული ჭეშმარიტებაა, თქვენო—ლებავ,—გამოეხუმრა ბებერი ბელურა. დიაღ, სისულელეა! თავისუფლება, თქვენო—ლებავ, არის რაღაც განუხორციელებელი და გამოურკვეველი, ასე ვთქვათ, ძნელად დასაჭერი...

— მაგრამ, თუ არა ვცდები, მგონი თქვენც ელტვოდით... თავისუფლებას?!

— ფა-აქტ!—შესძახა ერთბაშად ჭილყვავმა.

ბელურას შერცხვა და თავი ძირს ჩაჰღუნა.

— მართალია, თქვენო—ლებავ, ერთხელ მეც ველტვოდი და ყველას მოვუწოდებდი მოსაპოვებლად თავისუფლებისა, მაგრამ... ჩემი მოწოდება არასოდეს გონიერ ზომიერების ფარგალს არ გადასცილებია, რაიცა... სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოების თავდებია.. ამიტომ ჩემი სასტიკად დასჯა კანონიერი არ იქნება მით უფრო, რომ ახლა, უკვე დიდი ხანია, აზრი და შეხედულება გამოვიცვალე... სასჯელთა დებულების კრებულშიაც არ არის დავიწყებული ის ადგილი, რომელსაც ეწოდება „დანაშაულობის შემამსუბუქებელი გარემოებანი..“

— ააა... ესე იგი როგორ.?

— ჩუმად ვამბობდი ხოლმე: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ და იმ წამსვე ხმა-მაღლა დავუმატებდი: „კანონიერების ფარგალში!..“

გულწითელამ გადაჰხედა ჭილყვავს.

მე, თქვენო—ლებავ, კარის ანუ ნადვორნი სავეტნიკ ბელურას არ შემიძლიან ნება მივსცე ჩემს თავს, რომ ყურადღებით მოვეკიდო საკითხს თავისუფლების შესახებ. ესე არ არის მოქცეული იმ საკითხთა სიაში, რომელსაც იხილავს და დაწვრილებით ამუშავებს ის უწყება, რომელშიაც მე მაქვს პატივი ვმსახურებდე...

— ფა-აქტ! —ხელახლა კვერი დაჰკრა ჭილყვავმა...— იმისთვის ხომ სულერთია, რაც უნდა იყოს, კვერს დაჰკრავს...

ქუჩაში კი რუ-ნიაღვრები მიდიოდა და წყნარ სიმღერას უგალობდა იმ მდინარეს, რომელსაც ბოლოს უნდა ჩაერთოს რუ-ნიაღვრები; და მღეროდნენ აგრედვე თავიანთ მომავალზედაც:

„ფართო, მჩქეფარე ტალღები მიგვიღებს. გულში ჩაგვიკრავს; ჩაგვითრევს ზღვაში თავისთან ერთად, და მერე, ვინ იცის, იქნებ მზის მწველმა სხივებმა იქიდან ცაში აგვიტაცოს, ხოლო ციდან ღამ-ღამობით ისევ მიწას დავეცემით გრილ ცვარად, თოვლ-ჭყაპად ან კოკისპირულ წვიმად“.

მზე, დიდებული, გაზაფხულის მოალერსე მზე, მოკაშკაშებულ ცაზე იღიმება ღიმილითა ღმრთისათა, რომელიც აღსავსეა სიყვარულითა და აღგზნებულია შემოქმედების ვნებათა-ღელვით.

ბაღის ერთ კუთხეში, ასწლოვან ცაცხვის ტოტებზე, ჯგუფ-ჯგუფად სხედან ბჟიორანი. ერთი მათგანი უგალობს ამხანაგებს სადღაც გაგონილს „გრიგალის ლექსს“ და ატკბობს მათს ყურთა სმენას ..

დ მ. ჯ შია.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რცხილაძე.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.

ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.